საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 7 თებერვლის N 18/ო ბრძანებით დამტკიცებული
ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი № 5-42/20

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2020 წ.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენცაძე

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი შმაგი ქენქაძე

საბჭოს წევრები: სოფო მაისურაძე, ირაკლი მურღულია, ზურა მათიაშვილი, მარიამ გელაშვილი, ამირან კაცაძე, გიორგი კურტანიძე.

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორია

1. **ქალაქმშენებლობითი დასაბუთება (სოფელი ცემი),** (ლაშა სურგულაძე; რეგისტრაციის თარიღი: 3 ნოემბერი 2020, ნომერი: 7244/01); საპროექტო ტერიტორიაზე შემავალი მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი: 31880.5 კვ.მ მოთხოვნა - ქალათმშენებლობითი დასაბუთების შეთანხმება.
2. **ტერიტორია N8,** (განმცხადებელი; ამხანაგობა დიდველის რეკრეაცია; რეგისტრაციის თარიღი: 29 ოქტომბერი 2020, ნომერი: 7160/01);საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად: საპროექტო ტერიტორიის დაახლოებითი ფართობი: 171 580 კვ/მ. ფუნქციური ზონები/ტერიტორიები: საკურორტო ზონა 1 (შზ-6). დასაშვებია განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმით განვითარდეს: ცენტრის ზონა (შზ-2), საკურორტო ზონა 1 (შზ-6), საკურორტო ზონა 2 (შზ-7), სარეკრეაციო ზონა (შზ-8), ტრანსპორტის ტერიტორია, გამწვანებული ტერიტორია. მოთხოვნა - განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირება და დავალების გაცემა.

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორია

განიხილეს:

1. **ქალაქმშენებლობითი დასაბუთება (სოფელი ცემი),** (ლაშა სურგულაძე; რეგისტრაციის თარიღი: 3 ნოემბერი 2020, ნომერი: 7244/01); საპროექტო ტერიტორიაზე შემავალი მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი: 31880.5 კვ.მ მოთხოვნა - ქალათმშენებლობითი დასაბუთების შეთანხმება.

აზრი გამოთქვეს:

1. **მისაღებია -** შესაძლებელია წარმოდგენილი დასაბუთება გამოყენებული იქნას ტერიტორიის განვითარებისთვის, მის შესაბამისად გადაიმიჯნოს ნაკვეთები. მე-5 და მე-7 ნაკვეთებზე გაგრძელდეს დადებული სერვიტუტი რომ მე-6 ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნას მისასვლელი სამანქანო გზით.
2. **მისაღებია** - შესაძლებელია წარმოდგენილი სქემით ტერიტორიის განვითარება. მე-6-ე ნაკვეთის უზრუნველყოფა მოხდეს გზით.
3. **მისაღებია** - დასაბუთება მისაღებია. უზრუნველსაყოფია მისასვლელით მე-6-ე ნაკვეთი.
4. **მისაღებია**;
5. **მისაღებია**;
6. **მისაღებია;**

7. **მისაღებია;**
8. **მისაღებია -** მე-6-ე ნაკვეთთან მისასვლელი გზა დაემატოს.

მიეცეს თანხმობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ცემში, ქალათმშენებლობითი დასაბუთების შეთანხმებას.
რეკომენდაცია: ადგილობრივ ნებერთვისგამცემ უწყებაში წარდგენილ იქნას ჩასწორებული დოკუმენტაცია - გათვალისწინებულ იქნას N6 ნაკვეთის გზით უზრუნველყოფა.
განხილვის შედეგი: მომხრე 8.

განიხილეს:

2. **ტერიტორია N8,** (განმცხადებელი; ამხანაგობა დიდველის რეკრეაცია; რეგისტრაციის თარიღი: 29 ოქტომბერი 2020, ნომერი: 7160/01);საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესაბამისად: საპროექტო ტერიტორიის დაახლოებითი ფართობი: 171 580 კვ/მ. ფუნქციური ზონები/ტერიტორიები: საკურორტო ზონა 1 (შზ-6). დასაშვებია განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმით განვითარდეს: ცენტრის ზონა (შზ-2), საკურორტო ზონა 1 (შზ-6), საკურორტო ზონა 2 (შზ-7), სარეკრეაციო ზონა (შზ-8), ტრანსპორტის ტერიტორია, გამწვანებული ტერიტორია. მოთხოვნა - განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირება და დავალების გაცემა.
აზრი გამოთქვეს:

1. **მისაღებია -** შესაძლებელია ინიცირების დაწყება და დავალების გაცემა. კონცეფციაში მაქსიმალურად დაცული იქნას გენგეგმით დადგენილი პირობები, მოცულობები დანაწევრდეს, არ იყოს ტლანქი და შეუსაბამო.
2. **მისაღებია -** შესაძლებელია დავალების გაცემა.
3. **მისაღებია** - მისაღებია, თუმცა ცალკეულ ნაკვეთებზე მსხვილი მასებია წარმოდგენილი. აუცილებელია მათი მოცულობის შემცირება.
4. **მისაღებია**;
5. **მისაღებია**;
6. **მისაღებია;**
7. **მისაღებია;**
8. **მისაღებია -** საჭიროა სართულიანობის სწორად განსაზღვრა თითოეულ ნაკვეთზე.

მიეცეს თანხმობა ტერიტორია N8-ის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირებას და დავალების გაცემას, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N591 დადგენილებით დამტკიცებული ბაკურიანის ტერიტორიაზე განაშენიანების/განაშენიანების დეტალური გეგმების დამუშავების პირობების შესაბამისად (დანართი 5).
განხილვის შედეგი: მომხრე 8.

საბჭოს თავმჯდომარე Nino Gventsadze Digitally signed by Nino Gventsadze Date: 2020.11.10 12:28:51 +04'00' ნინო გვენცაძე

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი Shmagi Kenkadze Digitally signed by Shmagi Kenkadze Date: 2020.11.10 12:09:57 +04'00' შმაგი ქენქაძე